ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3758054

ნომერი: AR1563099

თარიღი : 08.12.2017

გაცემის თარიღი : 28.12.2017

გაცნობის თარიღი : 28.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა ჭირნახული , მიმდებარედ , (ნაკვეთი 02/046) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 8 დეკემბრის AR1563099 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2017 წლის 23 თებარვლის N3105529 ბრძანებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, საპროექტო ობიექტის დასახელებაში სავაჭრო პავილიონის და ავტოგასამართი ნაგებობების დაფიქსირებას.

რადგან საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.19.27.002.046 მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) მშენებლობის მიზნით, 2017 წლის 23 თებარვლის N3105529 ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებული არ არის პროექტი და თქვენს მიერ ცვლილებით მოთხოვნილი ფუნქციური დანიშნულება რადიკალურად განსხვავდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთ დადგენილ ფუნქციასთან მიმართებაში და ასევე სრულიად იცვლება სამშენებლო პირობები, საჭიროა მოითხოვოთ ზემოთაღნიშნული უკვე დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმება და ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, რომელიც მოიცავს განმარტებით ბარათს, ესკიზურ ვარიანტს, ფოტომომტაჟს და გენგეგმას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.